

სიძვირის ნიადავზე, როგორც პარიზში. ისე პროვინციებში ხალხში მდებარეობა.
მთავრობის ორგანოში გამოქვეყნდა ვერმანის კონსტიტუცია, რომელიც ძალაში შედის.
საბჭოთა ჯარმა როგორ დასტოვა. პოლტავის მიმართულებით საბჭოთა ჯარმა უკან დაიხია.
ყალბი ცნობების მოთავსებისთვის შინაგან საქმეთა მინისტრმა გაზეთი „კავკასკოე სლოვო“ დაკეტა.

ვანისცემა. რაიონულმა კრებამ იგონო მომენტის სერიოზულობა და წინ წამოაყენა მუშა ხალხის შეერთებული ფრონტის დევიზი.

აღეს, 16 აგვისტოს, რაიონული კრების წევრები დაბრუნდებიან თავიანთ ადგილებში და ყველანი თან წაიღებენ რევოლუციონერ აღფრთოვანებას დას.
თუ რაში გამოიხატება სომეხი ხალხის უფლებებში მდგომარეობა საქართველოში, ამის კონკრეტული მავალითები, როგორც მკითხველი ხედავს, ამ ამონაწერში არ არის. ასეთ „საბუთებს“ ჩვენ, ალბათ, დავინახავთ, როცა დაშნაკტუტინის ყრილობის ანგარიშებს გავცნობით...

პირი „ალფოთის“ გაყოფა

გუშინ შემდეგი დებუმა მივიღეთ, რომლის ასლი გაგზავნილია დაქუდნებელი კრების სარკინისგზო სექციის, რკინის გზის უფროსის, კავშირის მთავარ გამგებლის, მოძრაობის უფროსის, „ერთობის“, „ბარბის“ და „სვობოდნი პუტის“ რედაქციებისათვის: თფილისი, 14, 8. ჩვენ, საქართველოს რესპუბლიკის მატარებელთა რევიზორები, ღრმად აღშფოთებულნი ვართ მატარებელთა რევიზორის რევიზიის უკანონო დაპატიმრებით იმ შემთხვევის მიხედვით, რომელიც მოთავსებული იყო „ერთობის“ მე 182 ნომერში დამფუძნებელი კრების წევრ თევზაძისთან მომხდარი შემთხვევის გამო. მოვითხოვთ ამხანაგი რევიზიის პატიმრობისაგან დაუყოვნებლივ განთავისუფლებას, საქმის სასტიკად გამოძიებას და დამნაშავეთა პასუხისმგებლობაში, მიიქცეას პრესაში დიფამაციისათვის და უფლების გადაჭარბებაში, როცა თვითნებობით მოხდა რესპუბლიკის თავისუფალი მოქალაქის, უფროსი აგენტის დაპატიმრება. ხელს აწერს რამდენიმე კაცი.
სამწუხარო მოვლენაა ეს „ალფოთის“ ჩვენთვის იმ მხრით, რომ ავტორთ ნაკლებათ გაეგება თავიანთი მოვალეობა, არ ესმით სრულად, თუ რაა დიფამაცია და სხ.

ვთქვათ, აღმასწავლებელი უკანონოა მოხდა რევიზორ რევიზიის დაკავებით, მაგრამ ამას ხომ გამოძიება გამოარკვევს—რატომ იჩქარებენ აგრე ბნნი რევიზორები?
მათ, ალბათ, ჰგონიათ, რომ რახან დაპატიმრებას ჰქონდა ადგილი, ის უშუქულად უკანონო უნდა იყოს...

რატომ უნდა იყოს ეს აგრე და არა სხვა ნიარათ?
რაც შეეხება რევიზიის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას, ის უკვე თავისუფალია. გუშინ ჩვენს რედაქციაში იყო და მოვლის გამოძიების დამთავრებას, როცა შესაძლებელი იქნება უკანასკნელი სიტყვის თქმა...

ახალი აგვისტი

გენერალური შტაბისაგან. გაზეთ „კავკასკოე სლოვო“-ს 15 აგვისტოს ნომერში მოთავსებული იყო შემდეგი ცნობა: გენერალი ოდიშელიძე, საქართველოს და აღდბრეჯიანის შეერთებული ჯარის სარდალი, 14 აგვისტოს საღამოს 6 საათზე გაემგზავრა თფილისიდან ბაქოში. გენერალ ოდიშელიძეს თან ახლავს შტაბი 7 კაცისაგან შემდგარი და „კონვოი“. ამ ცნობის გამო გენერალური შტაბი სამხედრო მინისტრის განკარგულებით აცხადებს, რომ ეს ცნობა სრული სიყალბეა, საერთოდ აღნიშნავს შტაბი, რომ ამ ბოლო დროს პრესაში ხშირად არის სამხედრო ხასიათის ცნობები, რომელნიც სინამდვილეს სრულდებით არ შეეფერებიან. სიყალბის თავიდან ასაცილებლათ, სამხედრო მინისტრი სთხოვს ყველა გაზეთებს, რომ სამხედრო ხასიათის ცნობა, გენერალური შტაბის მიერ წინასწარ განუხილველათ არ მოათავსოს გაზეთებში, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოცემანი იქნებინ მიცემული პასუხისმგებლობაში.

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით დაიხურა გაზეთ „კავკასკოე სლოვო“ ყალბი ცნობების მოთავსებისათვის.

სამეურნეო ექსპურსია. განზრახულია სამიწათმოქმედო სამინისტროსთან არსებული სამეურნეო კურსების მსმენელთა ექსპურსია სამეცნიერო მიზნით, ორთაქალაქში 17 აგვისტოს თულაშვილის სარკო ფირმის დასათვალიერებლათ, ხოლო 29-ს სოფ. სკრაში ბაღების და ვენახების დასათვალიერებლათ.
— სანდრო მაისურაძის სახელობის ბიბლიოთეკის გამგეობა შედგომას უცხადებს შემოწირულობისათვის: 1 რაიონ. სოც.-დემ. კოლექ. 500 მან., ექიმის თანაშემწეთა კავშირის 100 მან. შემოწირულობანი მიიღება მუშათა კლუბთან არსებულ სამეცნიერო გამგესთან.

იაფი სასადილო ავლაბარში. ს. ს. დ. მ. პარტიის მესამე რაიონის კოლექტივმა აღძრა შუამდგომლობა თფილისის ქალაქის გამგეობის წინაშე რათა ამ უკანასკნელმა ავლაბრის რაიონში გახსნას იაფ-ფასიანი სასადილო. შუამდგომლობა განიხილა ქალაქის მოურავმა და აღუთქვა კომისიას ერთი თვის განმავლობაში ავლაბარში იაფ ფასიანი სასადილოს გახსნა.

ალ. გ. საათაშვილის პირველი ქართული საბუნძავტერო კურსები, განათლების სამინისტროს მიერ ნებადართული, წელს დაასრულეს შემდეგმა მოწაულებმა: მენდარიშვილმა ა. ს., ქელიძემ გ. თ. თეთრადის ასულმა ნ. ბ., სიხარულიძემ ი. ლ., არაუაძემ, შ. რ. შეყრილაძემ, მ. თ. შეყრილაძემ, ნ. ო. ხურციდემ, ვ. ი. ფავენიშვილმა, შ. ვ. მქედლიშვილმა, დ. ი., წითლიძემ ლ. თ. ბილანიშვილის ასულმა ს. ს. ჯილაურის ასულმა ე. ზ. ჯილაურის ასულმა მ. ზ., ბაქრაძის ასულმა ი. მ. მოწაფეთა გამოცდას დაესწრნენ სხვადასხვა სპეციალისტები და კმაყოფილი დარჩნენ მოწაფეთა ცოდნით.

ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტს მთავრობის დედგნილობით ესაზოა უფლება კიბლის ექიმის და ფარმაცევტის წოდებათა მოსაკოებლათ სახელმწიფო ფინანსთა კომისიისათა მოწოდებისა, ასეთი უფლება მიეკუთვნება თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

ლეკია მოხსენება. 18 აგვისტოს, საღ. 6 ს., ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის აუდიტორიაში, ამხ. ტიმასი, რომელიც ახლად ჩამოსულია მოსკოვიდან და ყირიმიდან. ს. ს. დ. მ. მესამე რაიონის კოლექტივის დავლებით წაიკითხავს საჯარო მოხსენებას თანამედროვე რუსეთზე და საბჭოთა რუსეთის მომავალზე. შესვლა ღირს 1 მანეთი.

გაზეთების შეწყვეტა. ფულის გამოგზავნელობის გამო ღღეს გაზეთები უკანასკნელად ეგზავნება სოხუმში—ესგანჯიას.

კ რ ე მ ე რ ი.

19 აგვ. მუშათა კლუბის სახანორო ბინაზე (ყოფ. ბომონდში), საღ. 5 ს. მოწვეულია მ. კავსაძის გუნდის ყველა ძველ და ახალ მომღერალთა საზოგადო კრება.
— კვირას, 17 აგვისტოს 4 ს. მოწველების დების კავშირის ბინაზე (სულდენის ქ. № 48 ზუბალოვის სახლი) შესდგება თფილისის მოწველების დების კრება.
— ორშაბათს, 18 აგვისტოს, ტრამვაის პარკში დანიშნულია საქართველოს სოც. დემუშათა პარტიის ოსთა ორგანიზაციის კრება.
— კვირას, 17 აგვისტოს საღამოს 6 ს. ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტში შესდგება ს. ს. დ. მ. მ. მე-3 რაიონთან არსებულ ქალთა ორგანიზაციისთან ახლად შეკავშირებული, ავლაბრის მეკრავ ქალთა არტელის კრება.

პროვინციის ქრონიკა.

სოხ. ნოქალაქაში (სამეგრელო) დედამოკის გზატკეცილზე აგვისტოს 8 ს. საღამოთი სოფელ ახლეთში მცხოვრებ ჩალვადარს თეოფანე იელიანისძე საჯიას წამოეწინ სოფ. საკლიავის მცხოვრებნი მძებნი ვვილავები და რევიზორები დაახლდნ. ამ დროს იქ გაჩნდნ მილიციონერები და დაატყვევეს ორთავე ძმები გვილავები. საჯიას გვამს ვერ მიაგნო ვერც აღმინისტრაციამ და ვერც ხალხმა. 100 ქალი და კაცი ჩამოვიდა სოფ. ახლეთიდან და მდინარე ტეზურში და ახლო მახლო მთებში დაექმდნ მოკლულის გვამს, მაგრამ ვერ იპოვნეს. დამნაშავენი კი გამოტყდნენ.
იმავე ს. ღამოს სოფელ ბეთლემში თავის სახლის მახლობლათ მოკლეს უცნობმა პირებმა კალიტრატე ბარკალაია. დამნაშავენი ჯერ ვერ აღმოაჩინეს.

აბანის ერობის გამგეობა მოითხოვს გამოცხადლოთ, რომ თანახმად მთავრობის დედგნილებისა გაუქმებულია ყველა სოფლის კომისარიატები, ამიტომ ყოველგვარი მიმართვა ხიდისთავის, ახალსოფლის და ბობნევის კომისარების სახელზე უნდა გაგზავნოს ატენის ერობის გამგეობას.

ლეკიეშები

(საქართველოს დემუშათა სააგენტო) 16 აგვისტო

შინაგაზული პარსის ცნობები.

ცხოვრების სიძვირემ არა /სასურველი ინციდენტები გამოიწვია პარიზსა და პროვინციაში, მაგრამ დიდი ინციდენტები მინც არ მომხდარა, შესაძლებელია სურსათის ნაკლებობამ სიძვირე გააძლიეროს, რასაც უწყისობაც მოყვება, ამიტომ ზომებს იღებენ ამის თავიდან ასაცილებლად. ხვალ მუშაობას დაიწყებს ნორმალურ ფასების დამყარების კომისია. ყოველი ვაჭარი მოვალე იქნება გასასყიდ საქონელზე გამოაკრას ფასი როგორც დანიხრულზე, ისე დაუნხრავზე. მუშავდება კანონი, რომლის ძალითაც დანიხრება აგრეთვე ტანისამოსი,
ხუთშაბათს დღისით ვენსენში ცეცხლი გაუჩნდა სამხედრო ავტომობილების გარაკს. მალე ცეცხლი 5000 მეტრის სიგრცეს მოედო. დეპო სრულიად განადგურებულია. ცეცხლმა დიდი ზიანი მიაყენა მახლობელ სახელოსნოებს, სადაც მრავალი მანქანა და დიდძალი იარაღი იყო, ზარალი მილიონ ფრანკს აღწევს.

სიძვირის ნიადავზე ოთხშაბათს პარიზის მთავარ ბაზარზე კიდევ მოხდა უწყისობა, მტკიცე ფასების დაწესებას ვაჭრები არ ემორჩილებიან, რის გამოც ახალი მდგომარეობა მოსალოდნელი. პოლიცია ყოველგვარ ზომებს ღებულბს, რომ ძალადობას ადგილი არ ჰქონდეს. ფებზე მოგაჭრენი პროტესტს აცხადებენ ფასებზე მყიდველთა კონტროლის დაწესების გამო. აღმინისტრაცია იძულებული გახდა სურსათი სანოვავე ვაჭრებისთვის ჩამოერთვია და ზომიერ ფასებში გენაწილებინა, რათა ქალაქი უზრუნველყო სურსათით. ეს იყო სიძვირის ნიადავზე მომხდარი პირველი უწყისობა, რომლის დროს სისხლიც კი დაიღვრა. ბევრი ვაჭართაგანი მზად იყო განედგურებინა საკონელი და ნაწიენებ ფასებში კი არ გაეყიდა. უწყისობა საღამომდე გაგრძელდა. ერთი პოლიციელი სასიკვდილოთ დაიჭრა. ქალაქის სხვა და სხვა უბნებში შეტაკება ხდებდა.

კლემანსოს წასვლამდე მომარაგების საკითხის გადასაწყვეტად გუშინ საღამოთი მინისტრთა საბჭოს სხდომა შესდგა. მომარაგების მინისტრმა კლემანსოს მოხსენება წარუდგინა პარიზის სურსათით უზრუნველყოფისა და სპეკულიაციასთან ბრძოლის შესახებ. მთავრობა დიდ იმედებს ამყარებს ამერიკულ საწყობების ლიკვიდაციაზე, რომლის საშუალებითაც მდგომარეობა გაუმჯობესდებდა. სპეკულიანტები ასობით ცდილობენ, რომ ეს საკონელი ხელში ჩაიგდონ, მაგრამ გუშინ მომარაგების მინისტრმა განაცხადა, რომ არავითარი სპეკულიაციის არ დაუშვებს.

გამანაშული პარსის ცნობები.

ეროვნულმა ყრილობამ ვეიმარში სამშაბათს რამდენიმე კანონი განიხილა გადასახადების შესახებ და შემდეგ ერთმა დეპუტატმა შეითხვა შეიტანა ამერიკაში და ინგლისში მყოფ სამხედრო ტყვე-გერმანელების შესახებ, რომელთაც როგორც გაზეთები იფუყებინ ვითომ გერმანიის მთავრობას არ სურდეს მათ სამხედროში დაბრუნება და ამისთვის არივითარ ზომებს არ ღებულბდეს მიუღერმა განაცხადა, რომ მთავრობამ უკვე გამართა მოლაპარაკება ტყვე გერმანელების სამშობლოში დაბრუნების დასაჩქარებლად.

ინგლისური პარსის ცნობები.

ლიონიდან იფუყებინ, რომ „ერთობის და პროგრესის კომიტეტის წევრი და მეექვსე არმიის ყოფილი სარდალი ხალილ-ფაში და გამორჩენილი ახალგაზრდა ოსმალო კუჩიკ თალაათ ბეი სტამბოლის ციხიდან გაიქცნენ. ფაქრობენ, რომ ორივენი მუსტაფასთან გაიქცნენ ერზურუმში თალაათ-ფაში ენვერ-ფაშის ბიძაა

პარიზის ერთ წყნარ უბანში მცირე პენსიით ცხოვრობს კოლჩაკის მეფულე იმის მოლოდინში, თუ რას უმზადებს მას ბელი; რუსეთის პირველ პრეზიდენტის მეფულეებს თუ ბალშევიკების წინააღმდეგ მებრძოლ პოლკოვნიკის ქვრივობას.

გალუპაიების ცნობები.

გოსპომი. აგვისტოს 16. ნაუნენ. აგვ. 14. უნგრეთის იუსტიციის მინისტრმა წინადადება მისცა აგვისტოს მთავრობას დაატყვევის ბელა კუნი და მისი ამხანაგები. მოსკოვი. აგვ. 15. კერენცევი „ივესტია“-ში სწერს: კერენცის კაბინეტის ყოფილმა საზღვაო მინისტრმა ლებედევმა რუსეთის მოკავშირეთა პოლიტიკის გამომგლავნება დაიწყო. კიევი. აგვ. 14. უკრაინის სამხედრო ცნობა. სარნის მიმართ. ჩვენი ჯარი სტრელკაკაპილოვა-ჩუდნაიას ხაზზე უკან იხევს. მ დღის ბრძოლის შემდეგ ჩვენ როგორც დავსტოვეთ. სად. დოლბუნოვი დავსტოვეთ. სტარო-კონსტანტინოვსკის მიმართ. მტერი ვოლიცა-პო-


სიმღერა-საქალაქო

სიკვდილზე უფროსად ჩემო ძველო ტალაათო, განუყრელო, ერთგულო, უნდა შეგეკამათო: თავს როგორ გრძნობ, როგორ ხარ ამ სიძვირის ქამათო, შეგვეყვას ძალა თუ არა, მაშაო და გამართო? თუმც სიყვითლე დაგეტყო და სიბერე გეწვია, იარები დაგაჩნდა, ტანი ჩამოგეწვია,— მით რა მოხდა, რა წახლამე შენ გენაცვალე? —ათასი ირინი გაქვს და ათასი თვალე! შენ თუმც ძაობა მიყავი, მეც სიყვეთ გარგუნე: ასჯერ დაგავიწყსტე, ათჯერ გადაგბარუნე; და დღეს ისე ტურფა ხარ, ჩაქმა ისე გინდება, რომ ყოველ შერხევაზე ტანი შიშით მიკრთება. შენ განა სხვისას გაყავარ? აბა რა სათქველია: უჭერო ხალათი სულის ამომხდელია! შენში კი ისე დაქრის ყველა კუთხის ქარები, რომ ამ სიციხე-აღმურში ცეკვით დავიარები. იცი? ნაცნობ-უცნობი დამხრჩვალაა შურითა, როცა მე შენ გატარებ ასე შარი-შურითა, და ხშირ-ხშირათ მკითხავენ: — „ბიჭო, რა გაცვიოა, მგონობა და მწერლობა აბა სად გატყვიოა?“ თითქოს: ყველა მდიდარი იყოს პატიოსანი, გარეგნობა,—დიდება და ხალათი—მგოსანი! ექ, ძმავე, ამ სულელ ხალხსა რა უნდა ვეკამათო? ისევ შენ და ისევ შენ ჩემო ტურფა ხალათო! თუმც დაგვიცვდა შარვალი, მსგავსი სულის სწორისა, ვეგვიის ნაწუქარი,* მეფე შარვალი შორისა,— არაუშავს! გარშემო გაახილე თვალე: განა ცოტა დადიან ტიტლიქანა ქალები? ჩვენ თუმც კანი დაგვეწვა, გული ხომ არ დაგვეწვა? თანაც სჯობს თუ სიციხეში ფარლალათა გაცვია! ჯერ კიდევ წუთისოფლის ადათს ბევრსა მიხედვით და უკეთაც გვიმღერებთ, როცა მთლად გაგვიშვლდებით! და რომ ეს ყმაწვილები გამოხენ ამ მორთულობას, მაშინ კარგათ ნახავენ ჩვენს სრულ მოკავშულობას! და გაიგებს ქვეყანა ესრედ პატიოსანი: ნიჭი—ჩემმა არა, და ხალათი—მგოსანი! მაშ მხნელ იყავ! მიმიყვა სამარისა კარათო ჩემო ძმა და ნუგეშო, ძველთა-ძველო ხალათო!

ტლინკაქი.

* მინისტრისა-კი არა:— კოპკერატორისა!

ლეკია-შარალაევას რიონში იყრის თავს. ჩვენი ჯარი პოზიციებს ამარგებს. რიბნიცის რაიონში დრო გამოშვებით სროლაა. ჩვენი ჯარი დნესტრის ნაპირს ამარგებს. მტრის გემები ოჩაკოვს ესვრიან. ხერსონის რაიონში ინგლისის გეპები ჩვენ გემებს უშენენ. მტრის ჰიდროპლანები სადგურის რაიონს უშენდენ, მაგრამ ჩვენმა არტილერიამ ისინი უკუ აქცია. შინაური ფრონტი. სად. ხრისტიანოვსკის რაიონში ჩვენი ჯარი პეტლიურას ებრძვის. სად-გური ხელიდან ხელში გადადის. სად. რაზ-ეფენაიას სამხრეთით გერმანელ კოლონისტების აჯანყება ჩავაქრეთ. პენზა, აგვ. 14. დონის ოლქში ხილერა ძლიერდება. სახალი პიატიგორსკსაც მოედო. ხარკოვის ფრონტზე გახშირდა სიკვდილი, რომელიც თითქმის 30 პროც. აღწევს. თერგის ყაზახების კოლჩაკის მხარეზე გადმოსაყვანდ პიატიგორსკში დენიკინის გამგზავრებამ უნაყოფოდ ჩაიარა. დენიკინის სარდლობა აგი-



ტაციას ეწევა. დაარსდა საავტორიტეტო მატარებლები, ექსპერსები და ჰაეროპლანები. ავრცელებენ ფურცლებს და მოწოდებებს. საბჭოთა გაზეთების ყალბი გამოცემები ძლიერ გახშირდა. საქართველო დენიკინის წინააღმდეგია. ლიონი. 15 აგვ. კოლჩაკი ინგლისის და ამერიკის დახმარებით დიდი შეტევის დაწყებას აპირებს. პარიზის რუსულ წრეებს იმედი აქვთ, რომ ამ შეტევას გამარჯვება მოყვება. №-ის არშიის შტაბი. 13 აგვ. ასკოვის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევას გადავიდა და სოფელი აიღო. ლიონი. 15 აგვ. ერცვრტოვი იოსები ქალაქებს სამეფო პრინციის სახელით აწერს ხელს. ნაუნი. მთავრობის ორგანოში გამოქვეყნდა გერმანიის კონსტიტუცია, რომელიც ამასთანავე ძალაში შედის. პრეზიდენტმა ებერტმა სახელმწიფო კანცლერით ბაუერი დანიშნა. გერმანიის დამფუძნებელ კრებას დღეის შემდეგ რიხსტაგი ერქმევა. საიმპერია მთავრობაში ცალკე სახელმწიფოებს წარმოადგენენ ალარ ეყოლებათ. სამაგიეროდ არსდება სახელმწიფო საბჭო. პრეზიდენტმა განკარგულება გასცა, რომ ყველა სახელმწიფო სათემო და კომუნალურ კავშირების მოხელეებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს სახელმწიფო კონსტიტუციის. მოსკოვი. 15 აგვისტო. სამხედრო ცნობა: ჩრდილოეთის ფრონტი. ჩრდილ. დენის ორივე მხარეზე ბრძოლა. პეტერზავოდსკა და ოლენეცის კენსუნოზერის და სიამოზერის რაიონი ჩვენს ხელშია. ლიონი. აგვ. 15. კოლჩაკი ინგლისის და ამერიკის დახმარებით დიდი შეტევის დაწყებას აპირებს. პარიზის რუსულ წრეებს იმედი აქვთ, რომ ამ შეტევას გამარჯვება მოყვება. დასავლეთის ფრონტი. ვილიკის ჩრდილო აღმოსავლეთით დ. ბუდელავი დავტოვეთ. ბორისოვიდან ჩვენმა ჯარმა 10 ვერსით დაიხია. სამხრეთის ფრონტი. პოლტავისაკენ ჩვენმა ჯარმა სად. სოროლი და რომოდანი დასტოვა. სუმა-ასტირისკენ სად. სიროტოვკა დავტოვეთ. ბალაშოვის სამხ. 50 ვერსზე სოფლები ავიღეთ კრასნოიარსკისკენ ჩვენი ჯარი მდინ. ტერსის ხაზზე გადავიდა. აღმოსავლეთის ფრონტი. ორენბურგის აღმოსავლეთით 25 ვერსზე სად. დოვსსკია ავიღეთ, ჩვენი შეტევა მთელ ფრონტზე გრძელდება. ჩელიაბინსკის რაიონში ჩვენი ჯარი მარჯვენა წინ მიიწეოს. მოწინავე რაზმები კურგანს მიუახლოვდა.

საბარათო პალატაში

რადგანაც საბარათო პალატაში მუშებისაგან საჩივარი შემოდის, რომ ზოგიერთი დამპირებელი არ აძლევს დროებითი მუშებს და მოსამსახურეებს საბარათო პალატის მიერ დადგენილ ხელფასს, საბარათო პალატა აცხადებს, რომ პალატის მიერ დადგენილი ტარიფი ვრცელდება დროებითი მუშებსა და მოსამსახურეებზედაც, ამიტომ იმ დამპირებლების წინააღმდეგ, რომლებიც არ ასრულებენ საბარათო პალატის დადგენილებას, მიღებული იქნება იძულებითი ზომები. საბარათო პალატის თავმჯდომარის მავიერ ტრეიზანი.

თვილი სპეციალი

ჩემს პატარა შენიშნას, რომელიც „ერთობის“ 1 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა, ქალაქის გამგეობამ ყურადღება არ მიქცია. მე კი მეგონა, თუ ქალაქის თავი არა, გამგეობის ერთ ერთი წევრი მაინც წაიკითხავდა ან ამათი ნაცნობი—ნათესავი და საქმის შინაარსს გაცნობდა. მე მაინც გულს არ ვიტყბ. ორ გვარი აზრი მიტრიალებს თავში. ერთი ის, რომ ჩემი წერილი არავის წაუკითხავს; მეორე—ალბათ წაიკითხეს, მაგრამ ზომებს თავს გასულს მიიღებენ. შეიძლება უხერხულად გრძობენ ან თანხა არ მოეპოვებათ საიმიო, რომ ქუჩის „მოვაჭრებს“ ფულის უკან დაბრუნებით ქუჩაში ხეტიალი აუკრძალონ. მაგრამ ამაშიც ეჭვი მეზადება. თუ ეს ასე სურთ, რატომ აძლევენ ახალ ნებართვებს?.. სწორედ ჩემი წერილის შემდეგ შეიცვალა მდგომარეობა იმ მხრით, რომ ქუჩებში გამრავლდა ქალაქები, ყუთები, „ჩისტები“, გახშირდა ყაყანი. ფეხს ვერ მოიცილი, რომ წინ პაპიროს—სპიჩით დატვირთული არ შემოგვხერხოს. დღის 7 საათიდან ღამის 1 საათამდე ქუჩებში დაუსრულებელი ყაყანი. ვაქრობს პატარა, დიდი, ქალი, კაცი... ყოფილი გოლოვინის, ამ ქამად რუსთაველის პროსპექტი ნამდვილ „ტალკუჭკათ“ არის გადაქცეული. რა გინდათ რომ ამ პროსპექტზე არ იყოს გამთენიანი? „ჩისტები“ ყოველი ფეხის გადადგამზე, კალათი, კალათი და კალათი: ყაყანი, „მოვაჭრეთა“ ურთიერთი გი-

ან, რად ვერ ვპოვებ წუთისოფლათ მე ბედი ჩემი,— აზრთ უკვდავება, ცრემლთა შინა ნუგეშის მცემი! რად ვერ წაერთაცე სიკვდილისა ტანჯულ სულს-წყალუდი და ვერ აღვაცევი სიცოცხლითა ყოფნის უფსკრული?

მე შევბოთ ვგრძობდი სიყრმის ქამსა დიდის ტუბილ ნანას, სამოთხეთ ვრაცხდი მშვენიერსა ამა ქვეყანას, დღეს კი, სად გაქრნენ ნეტარების იგი ვანცდანი: ფიქრი, ოცნება, სიჭაბუკის ტუბილი აღთქმანი?

ნუ-თუ სიცოცხლე არის ოდენ ტანჯვა წვალება, წუთის ცხოვრება, საუკუნო გარდაცვალება? მაშ რად ვესწრაფი მომავლისა აღმოცენებას, თუ ვერ მივწვდები, ვერ ვიხილავ მე მის შვენებას?

ჰალ სოფელი! ვევე მოგენდოს ვინმე გულითა, გითხრას კურთხევა და გიმღეროს სიყვარულითა! შხამით სავსეა თვით კოკორი შენის ვარდისა, რადგან ხარ შენა ხე ბოროტი, ხე ცნობადისა!

ვაგრამ ვით დავთშო, რომ გავწიო მე გულწვაობა და ავირიო მით, ნაცვლი—არარობა? არა! მე დავწყვეტ ქსელს უჩინარს შენის მახისას და შენს ვტრატზე დავსვამ ბეჭედს ჩემის სახისას!

ნ. ჩხიკვაძე.

უცხოეთი

გერაელთა დელეგაციის შემორანდში. „ჰუმანიტე“-ს 24 ივლისის № ში დაბეჭდილია გერაელთა დელეგაციის შემორანდში, რომელიც მან წარუდგინა პარიზის კონფერენციას უკრაინაში მომხდარ გერაელთა დარბევის გამო. დელეგაცია აღნიშნავს, „უკრაინასკენ 6 თვის განმავლობაში უკრაინაში გერაელები ათი ათასობით დახოცილ, დაჭრილ და გაძარცვულ იქნა. აღსდგა დღეები საშინელ ინკვიზიციას მათ მიმართ. პოგრომები გრძელდება და მთელ გერაელთა მოსახლეობას გაწყვეტას უქადის. ჩვენ გვაქვს მხოლოდ ნაწილი ცნობებისა, თუ სად მოხდა პოგრომები: ვიტომირში—სრული განადგურება გერაელებისა 70 მოკლულია, ასობით დაჭრილები; ბერლინში—ძარცვა გლეჯა, 30 მოკლული. პოგრომი ორჯელ განახლდა, პროსკურაოვი—გოლოშის ექიმის კაცის ცნობით მოკლულია 3964 კაცი ადგილობრივი გერაელთა შორის და მრავალი მოსული, ბელაია ცერკოვი—ბევრია მოკლული, 50 გაუპატიურებული ქალი, სტუპანკაში — გაუპატიურებული რამოდენიმე ათეული ახალგაზრდა ქალებისა, მთელი მოსახლეობა გაძარცვულია; ფელშანში—ყველა გერაელები (რამოდენიმე ათასი კაცი) მოკლულია. დაინდეს მხოლოდ 25 ოჯახი, სალდათები დამბრბუნენ ყუმბარებს ისროდენ სარდაფებში და სხვა ადგილებში, სადაც გერაელები იმალებოდენ. გერაელების მთელი კვარტალი ცეცხლის მსხვერპლი გახდა; ლეტჩევში—ათეული მოკლულია. ბალტაში—90 მოკლულია; ანანიევში—62 მოკლულია; ნეჩაევკაში—მთელი მცხოვრებნი—გერაელები დახოცილია; ეკატერინოსლავის რაიონში გერაელთა მთელი ახალშენები მიწასთან არის გასწორებული: უმანში—გაწყვეტილია რამოდენიმე ასი ოჯახი; კამენეც პოდოლსკში—მოკლულია 100 გერაელზე მეტი. მათი ქონება დაიტაცეს; კიტი-გოროდში—77 მოკლულია, მრავალი დაჭრილი; ურინში (?)—40 მოკლულია. გრძელ სიაში აღნიშნულია 80 ადგილი, სადაც „პოგრომები“ მოხდა. უმრავლეს შემთხვევაში მკვლელობები გრძელდებოდა 5—7 დღემდე. ყველა ამ ადგილებში ებრაელთა მთელი მოსახლეობა გაძარცვულ იქნა. მრავალი ქალი გაუპატიურებული. აუწყრელი პანიკა მეფობს უკრაინის გერაელ მცხოვრებლებში“.

ბულგარეთში. „მესსაჟე დ. ათენ“-ის 1 აგვისტოს № ში მოთავსებულია დეპეშა პარიზიდან, საცა ნათქვამია: „სოფიიდან „ტან“-ს ატყობინებენ, რომ სტამბულინსკისა და საკოვოვის ჩვენებით მთელ ბულგარეთში გაფიცვები მზადდება, რომლებზეც უნდა გამოაშრობონ, რომ ბულგარეთი მოწადინებულია ჰუნგრეთის გზას გაჰყვას. ყველა ქალაქებში პროკლამაციები

რუსულ სოციალისტურ და დემოკრატიულ ჯგუფების ზრახვებისა. „ჩვენ-სოფი-ტან“-სკიმ—დიქტატურის წინააღმდეგია ფართობის ლენინის და ტროცკის ნაწილობრივი რატურა. რუსეთი უნდა შეხედოს დემოკრატიულ საფუძველზე. უნდა მოწვეულ იქნეს დამფ. კრება, გატარდეს ახალი კანონი თვითმართებლების შესახებ და აღსდგეს ყველა თავისუფლებანი. მე ვერ გამოვიდა, როგორ მოვლიან დასავლეთის დემოკრატები რაიმე ვარგს რუსეთში წითელი ტერორის თეთრ ტერორად შეცვლისაგან? ვიცნოთ კოლჩაკი—ნიშნავს ვიცნოთ რეაქცია. ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ კოლჩაკისა პირად, მაგრამ წინააღმდეგი ვართ თვით დიქტატურის პრინციპისა. არავითარი იმედი არ არის იმისა, რომ კოლჩაკი დემოკრატიზმისაკენ გადაიხრება. ის მთლიანად ერთი ჯგუფის ხელშია, რომელიც ხელათ განდევნის მას, თუ მან ამ პოლიტიკას უღალატა. კოლჩაკის რეაქციონერობის დამამტკიცებელი ის არის, რომ ის რჩება დიქტატორით იმ დროს, როცა სხვა დემოკრატები, მაგ. საქართველო, ომს აწარმოებენ და დემოკრატიული მმართველობა შენარჩუნებული აქვთ. საქალაქო და საერობო თვითმართებლობანი შეიძლება აღდგენილ იქნეს, აგრეთვე თავისუფლებანი, კოლჩაკი კი არაფერს არ ჰპირდება, გარდა სამხედრო დიქტატურისა და თეთრ ტერორისა. რუსეთის რეაქციამ აქ შემუშავდათ გაიჩინა თავის ბუდე. აქ უნდა გაიგონ ბოლოს მოკავშირეებმა, თუ რას მიადრწის მათ აღმირალ კოლჩაკის დახმარებით და უნდა ანგარიში მისცენ თავის თავს იმ საფრთხის გამო, რომელიც მოელის ევროპას და მან (კოლჩაკმა) მხოლოდთა გიმარჯვა“ (პ. ე. 4).

თვლილი. 7 აგვისტოს შესდგა მეოთხე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა. სხდომა ისმენს სალამოს მომწუბ კომისიის მოხსენებას და ავალებს მას რაც შეიძლება სასწრაფოთა მოავგაროს ეს საქმე. საგამომტებლო კომისიის მოხსენების განხილვის დროს შევიტხვა შემოაქვს ამხ. დ. ბერიტა-შვილს, იზიარებს თუ არა კოლექტივი გაზეთში მოთავსებულ 31 ივლისის სხდომის ანგარიშს. იქ არის გამოტოვებული, რომ მე თვით შევიტხე შტაბში წერილობით განცხადება, რომ ჩემს წინააღმდეგ სხვადასხვა ხმები გავრცელებული და ვთხოვლობდი მის გამორკვევას. სხდომა სასურველად აღიარებს ანგარიშში დამატებულ იქნას სიტყვები: „ხოლო ზოგი მისი წევრები კი აყენებენ მის წინააღმდეგ ასეთ ბრალდებებს“ შემდეგი სიტყვებით: „ზოგიერთ ბოლოდებებს“ (იხ. „ერთობა“ № 174). მდივანი კითხულობს კასის ანგარიშს, საიდანაც ირკვევა, რომ კოლექტივის კასა უმწეო მდგომარეობაში იმყოფება, მას 1 აგვისტოს რჩება ვალათ 6340 მ. 45 კ. ანგარიშის მოსმენის შემდეგ სხდომა გადადის მორიგ კითხვაზე. სხდომა სასურველად სცნობს პარტიულ კლუბში დროგამოშვებით ხალხს უჩვენებდნენ შინაარსიან სინემატოგრაფიულ სურათებს. სხდომა ისმენს კლუბის კომისიის მცირე განცხადებას, რის შემდეგ ადგენს: კლუბის კომისიის ევალება დაუყოვნებლივ გამოარკვეოს ყველა ის ხარჯები, რასაც კლუბი დღითურათ ეწევა და წარმოუდგინოს კოლექტივს. პროფესიონალურ კავშირებში მუშაობის შესახებ ამხ. მ. თამაზაშვილი აცხადებს, რომ ახლათ დაარსებულ სტამბის მუშათა პროფესიონალური კავშირის ს. დ. ფრაქციამ საჭიროთ აღიარა იქონიოს მქილარო დ. მოკიდებულება რაიონთან და ყველა მნიშვნელოვანი კითხვები მასთან შეთანხმებით გადასჭრას. სხდომა სიამოვნებით ეგებება ამ განცხადებას.

მდივანი.

გუშათა შორის საზაინო რაიონის გზის პუკის საცხოვრ. 10 აგვისტოს შესდგა ზემოხსენებულ დაწესებულების მუშების და მოსამსახურეების შეერთებულ კრება. დაესწრა სადავროს კომისიარი გ. შარაშენიძე და მისი თანამშრომელი ვაშაქიძე. ორგანიზაციებიდან და საბარათო პალატადან დაესწრა თ. მეგრელიშვილი. პირველათ კრებას აცნობს შეკრების მიზნს სადავროს კომისიარი გ. შარაშენიძე. შარაშენიძე წინადადებას აძლევს კრებას არჩულ იქნას სამი კაცისაგან შემდგარი კომისია. საბარათო პალატის წევრი ამხ. თ. მეგრელიშვილი თანხმობას გამოსთქვამს, რომ ეს სამი კაცი აღმინისტრაციასთან ერთად იმუშავენს ზომებს ბოროტების აღმოსაფხვრელათ, რაც მოწოდებული იქნა კრების მიერ. კომისიაში იირჩიეს: ზალიბეგ გრიგორიანიცი, დავით აბომაძე და კონდრატე ლომიძე.

საფრანგეთ-იტალიის სოფ. და მასაზე ინტერნაციონალი

სენის სოციალისტური ფედერაციის კრებაზე, რომელიც შესდგა 30 ივნისს, ირჩეოდა საკითხი საფრანგეთის სოციალისტების დამოკიდებულებისა მესამე ინტერნაციონალისადმი. ლონგემ მოავრთა კრებას საფრანგეთის სოციალისტების კონგრესის უკანასკნელი გადაწყვეტილებანი, რომელიც წინააღმდეგი იყო, რომ პარტია შეერთებოდა ლენინის ინტერნაციონალს. ამასთანავე მან აღნიშნა, ემყარებოდა რა თავის შთაბეჭდილებებს უკანასკნელად იტალიაში მგზავრობის დროს, რომ იტალიის სოციალისტები, რომელნიც თითქმის მიემხრნენ მესამე ინტერნაციონალს, ეხლა მოწადინებული არიან სოციალისტური ინტერნაციონალს დაუბრუნდნენ. ფროსსარმა აღნიშნა, რომ საფრანგეთის სოციალისტური პარტიის აღმასრულებელი კომიტეტმა დაადგინა გარკვევის პარტიიდან ისინი, ვინც მიემხრობა მესამე ინტერნაციონალს.

რუსეთის სოფრეაზა კერენსკის განცხადებანი. გაზ. „მანჩესტერ გარდიან“-ის 17 მაისის ნომერში მოთავსებულია კერენსკის ინტერვიუ აღნიშნულ ვახეთის თანამშრომელთან. საუბრის დასაწყისში კერენსკიმ განაცხადა, რომ ის არის გამოხატებული პარიზში მყოფ ყველა



თფილისის ქართულ პარკში მომზადდა და კანდიტარ-მთავრობის

ერთხელ კიდევ მოგიწოდებთ მიიღოთ მხურვალე მონაწილეობა და აღადგინოთ თქვენი ძველი, მოწინავე ცნობილი კავშირი, რომელიც არსებობდა 1905 წელს და შემდეგაც ეხლა თავისუფალი მუშების თავისუფალ შეკავშირებაზე ფიქრობენ, თქვენ კი საღათის ძილის მისცემხართ, დაგაპყრბათ გულზე ხელელები და განუწყვეტლოვ 24 საათს მუშაობთ და შესცქერით „ხაზინების“ მოწყალეობას. ეხლა დრო არის გაიღვიძოთ და მიანახოთ თქვენი დაბნეული აზრანაგები და მოაქციოთ ერთ კავშირში, რომელიც დღეს უფრო კარგათ დიაცავს თქვენს რბრტრებს, რადგანაც დღეს არსებობს უმალესი ორგანიზები, სადაც ხელს უწყობენ მუშების ცხოვრების გაუმჯობესებას. შექვნიათ ერთი ძლიერი კავშირი ამხანაგ მეფურნიებთან, რადგანაც თქვენი ხელობა და მკურნეობა დაკავშირებულია ერთმანეთთან. ამიტომ მოგიწოდებთ მიიღოთ მონაწილეობა მოწვეულ კრებაზე, რომელიც დანიშნულია კვირას, 17 აგვისტოს კავშირებში ბინაზე, ელისაბედის ქუჩა. ყოფილ „ბომონდის“ სასტუმროში.

ბენამინ დოლიძე.

პროკონსტია

დახანაქლავი ვაღისთიხაში.

ივლისის 22 ველისციხეს ესტუმრენ დაშნაკლები გარეგინ ტერ-სტეფანიანი, გარეგინ ტერ-არტუნიანი და შნაკან სარგისიანი. იმავე საღამოს 8 ს. დანიშნეს ლექცია განსაკუთრებით სომხებისათვის, როგორც ეს სხვევით ჩვენ „სოციალისტებს“. ლექციის მოწვეული საზოგადოება არ დაეცრო, გარდა რამოდენიმე ბავშვებისა. ლექციაზე დასასწრებლად მოვიდნენ აგრეთვე ქართველი ამხანაგები. დანიშნეს ეს დაშნაკლებმა თუ არა, მაშინვე გამოაცხადეს, რომ ეს ლექცია არ არის, არამედ პარტიული კრებაა. იმ საღამოს არც ლექცია შესდგა და არც პარტიული კრება, გარდა მცირე კამათისა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მენშევიკმა სერგო სარგისოვმა და კომუნისტმა ანტონ აუშტროვმა. კრება გადასდევს მეორე დღისათვის ტუფილი დაბირებით, რომ ამ მოკლე ხანში გამართვენ საჯარო მიტინგს, სადაც მოიწვევენ სხვა პარტიის წარმომადგენლებსაც, მაგრამ დასაბრუნებელი დაბრუნდებიან.

განა დაშნაკლებს იმდენი გავლენა და გამბედაობა აქვთ, რომ საჯაროდ გამოვიდნენ და თავიანთი დამდუპველი პოლიტიკა საზოგადოებას საჯაროდ გააცნონ? არასოდეს!

მათ სხვევით მალულად ხალხის, მეტადრე ჩარჩების მოწვევა და ხალხისთვის სასახუნის მგებლო საქმის მოხვევა, როგორც ეს მოხდა 24 ივლისს.

24 ივლისს საღამოს 8 საათზე სომხის სასწავლებლის დარბაზში დავესწარი დაშნაკლებების კრებას. კრება გახსნა ტერ-სტეფანიანმა, რომლის შემდეგ ილაპარაკეს ტერ-არტუნიანმა და სარგისიანმა. ბოლოს ტერ-არტუნიანმა რიხიანი სიტყვით მიმართა კრებაზე დამსწრე ბავშვებს.

როცა ტერ-არტუნიანმა გაათავა ქადაგებანი, ტერ-სტეფანიანმა წაიკითხა სომხურ ენაზე დაწერილი რეზოლუცია, რომლის შინაარსი, გარდა დაშწერისა და სამ-პროვინციისა არვის ესმოდა, რადგანაც სომხური არ იცოდნენ. ასე რომ, რეზოლუცია კიდევ დასწერეს და კიდევ მიიღეს. შინაარსი შემდეგი იყო: „24 ივლისს შესდგა სომხების მრავალ რიცხოვანი კრება, სადაც გამოირკვა მთავრობის უსამართლო მიზნის ეროვნულ საქმის არჩევნების გადადებისა. კრება ერთხელ გულწრფელ საღამოს უძღვნის „აშხატავორს“ და მხარს უჭერს მის მიმართულებას“. სსსაცილო იყო, როცა „მრავალ რიცხოვანმა“ კრებამ რეზოლუცია ტაშის ცუვით დააჯილდოვა. კრებას შეადგენდნენ ბავშვები და ორგანოდ დამნაქელი მანდილოსანი.

ორიოდე კითხვა მინდა მივსცე დაშნაკლებს, რომელ „მრავალ რიცხოვან“ კრების სახელით გამოგაქვთ სასახუნისმგებლო რეზოლუციები და მთელ სომხის მცხოვრებთ ახვევთ თავზე ვინ მოცათ იმის ნება, რომ მთელი სომხების სახელით გამოხვიდეთ და თქვენი დამდუპველი პოლიტიკის მსხვერპლი გახადოთ საქართველოს სომხობაც? ამის ნებას არავინ არ მოცემთ თქვენ, გარდა ჩარჩებისა და „სურბ“ ტერტრებისა. დადგა დრო, როცა სომხის მშრომელმა ხალხმა თქვენ პასუხი უნდა მოგთხოვოთ.

შორს თქვენი სისხლიანი ხელები. ჩვენ არავითარი სადავო არა გვაქვს ჩვენ მეზობელ მშრომელ ხალხთან და თუ გვექნება რა-

იმე თვით ჩვენვე მოვაწესრიგებთ. თქვენთანა „გულშემატკივარი“ აბეკუნები არ გვესაქიროება.

ს. უფაშვილი (სვანეთი) მოხდა ყოვლად შემზარავი ამბავი. ერთ მოსახლისას თამაზობდნენ პატარა ბავშვები, რომელნიც ეთამაშებოდნენ იქვე შემთხვევით მდებარე ოლქს. ერთ ბავშვთაგანს თამაზობის დროს უცაბედოდ გაუფარდა თოფი და მოხვდა მეორეს, რომელიც სასიკვდილოთ დაიქრა და მეორე დღესვე გარდაიცვალა. მოკლული ბავშვის ძირისფულებმა მოინდომეს „რაც უნდა მომხდარიყო სისხლი აეღოთ“. ამ მიზნით ექვსი შეიარაღებული კაცი ჩაუსაფრდნენ სოფლის განაპირას ზუჭნარში „მკვლელი“ ბავშვის ნათესავებს (ვინც უნდა ყოფილიყო), მაგრამ ყველაზე უწინ „ვაკაცებმა“ დაინახეს ეზოში გამოსული საბრალო ბავშვი, რომელიც არაფერს არ ფიქრობდა. ესროლეს ყველამ „ხალხით“ და ექვსივე ტყვია ყველა თავში მოხვდა საბრალოს. თავი სულ ერთიანთ გაეთქვა და იქვე უსულოთ გაგორდა.

სამწუხაროთ, სვანეთში ასეთი მაგალითები ხშირია.

დ. ხოზო (ზუგდიდ. მაზრა) სახალხო სახლში დრამატული სექციის მიერ ხობის უმაღლეს დაწვებითი სკოლის სასარგებლოდ გამოართულ საღამოდან შემოვიდა: 1) ბილეთებით 4561 მან., 2) შემოწირულება 799 მან., 3) აქერ. აუქციონი 2650 მან., 4) ბუფეტი 3699 მან. სულ 11709 მან. გასავალი იყო 2357 მან. დარჩა წმინდა შემოსავალი 9357 მან. საბჭოს სახელით უღრმეს მადლობას ვუცხადებთ უხვ შემომწირველთ და დრამატულ სექციას.

ხობის უმ. დაწ. სკოლის გამგე ვ. ქობულაია.

თიანეთის მაზრის ცრობის გამგეობა იწვევს უმაღლეს ან საშუალო სასწავლებელში სწავლა მიღებულ (სასტრუელთა ინსტიტუტული) თიანეთის საეროზო სახალხო განათლების ინსტრუქტორის ადგილზე. საჭირო თხოვნა, დოკუმენტები უნდა წარმოადგინოთ იქნას თიანეთის მაზრის ცრობის გამგეობაში არა უგვიანეს 20 აგვისტოსი. გვაგვირი თვიური 2100 მ. დღიური მაზრაში მოგზაურობის დროს 70 მანეთი.

მრკატი (გური). მ აგვისტოს ერკეთის რაიონულ კოლექტივის ხელმძღვანელობით მოწვეულ იქნა ს. ხევი მიტინგი. მიტინგს სამწუხაროდ ცოტა ხალხი დაესწრო. სამაგიეროდ ამ დღისათვის ადგილობრივ ბალშევიკებს მოგზინათ ძალთა მობილიზაცია: არ დაეკუებინათ არც ქუქუმოვარა ბავშვები. პირველად თავი მოეყარათ ს. ბეოლიეთში, აქედან დარაზმულნი ეწვიენ ს. ხევს. ვინც იცნობს ბალშევიკებსა და მათ მოღვაწეობას, ის უსათუოდ დაინტერესდებოდა გავგო, თუ რა ხალხი იყო მათ ბანაკში თავმოყრილი. ერთ ნაწილს ბალშევიკებისა შეადგენდა დეზერტირები, რეკოლიუციისა და თავისუფლების მტრები, რომლებიც ფიქრობენ მათ ჯგუფში ჩაწერით გადაურჩებიან სასჯელს; მეორე ნაწილს შეადგენდა ისეთი პირები, რომლებიც საზოგადოების მიერ სხვადასხვა დანაშაულთა ჩადენის გამო იყვნენ, ან და უნდა მიეციენ სამართალში; მესამე ნაწილს კი—აზნაურები და მსუქანი გლეხობა რეაქციონერის გლახუნ ჩანტლადის მეთაურობით, რომლებიც დნიკინის მოსვლას სიხარულით მიუღიან, როგორც აღდგომის დღესასწაულს. აი, ასეთ პირებისაგან შემდგარ ჯგუფს ექირათ განსაკუთრებული ალავე, აი ერთოდენ სხვეში და ამაყად გამოიყურებიდნენ, ვითომც და ნამდვილი დამცველი მუშათა ინტერესებისა!

მიტინგი გაიხსნა ნაშუადღევს 4 საათზე აშხ. აბოელ ბერძნის და ტ. შვალაობლიშვილის თავმჯდომარეობით. მომხსენებლად გამოვიდა აშხ. გაბრიელ გოგვაძე. ის ეხება რუსეთის რევოლუციას, ურკვევს მსმენელებს ბალშევიკების მიერ გადადგმულ შემცდარ ნაბიჯებს, რასაც მოჰყვა მთლიანი რევოლუციონური ფრონტის დაშლა და დენიკინის კოლაჩების გაძლიერება. ახასიათებს მენშევიკებს, როგორც შეგნებულ გამოძეტველს რევოლუციისას. ეხება საქართველოს დამოუკიდებლად გამოცხადებას. შემდეგ ეხება საქართველოს. საშინაო, საგარეო და საერთაშორისო მდგომარეობას და სისწორით, უსურათებს დამსწრეთ, რამაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. შემდეგ ტრიბუნაზე აღის ბალშ. სილ. თორღია, რომელსაც თითქმის არაფერი უთქვამს მომხსენებლის საწინააღმდეგოდ, ალბათ, საბუთების უქონლობის გამო, რისთვისაც მომხსენებელმა პარტიისანი ბალშევიკი უწოდა მას. სიმართლედ ვსთქვათ,

მართლაც პარტიისანი ყოფილა, რადგანაც ზოგიერთებივით ლობე ყორეს არ მოედო და არ დაიწყო ლანძღვა თუ ლაპარაკი იმაზე, რის დამტკიცება არ შეიძლებოდა.

აშხ. ნესტორ ჩხიკავაძის მოკლე სიტყვის შემდეგ უკანასკნელ სიტყვას ამბობს მომხსენებელი, რის შემდეგ კრება დაიხურა. ძლიერ საჭიროა ასეთი მოხსენებების მოწყობა, რაც საშუალებას მისცემს ხალხს კარგად გააჩინოს მტერი მოყვარესაგან. ია—ლი.

განცხადებანი

1 განეთი (რუსთაველის პარკი, № 24).

იყიდება ჟინულით გაცხვეზული ახალი გაზიანი

ბორჯომის წყალი

ქიქა მანეთად. (2—1) დავით ქეზაძე.

ბრინჯი

გირვანქა 8 მანეთი, ფუთი 300 მანეთი.
ქიუმიუი
 გირვანქა 14 მანეთი, ფუთი 500 მანეთი.
 იყიდება ლგოტაის მაღაზიაში, ოლღას ქუჩა, სახლი № 3.

დავპარკე

მოწმობა № 494, მოცემული საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საველე საწყობიდან, რომელსაც ვაცხადებ გაუქმებულად.
 შალვა იაკობის ძე მეღაძე.

ბორჯომში

პროფ. დოქტ. მედიცინისა მ. მ. შოსოვილი იღებს ნერვების და შინაგანი ავადმყოფობით სნეულებს. მისამართი: სასტუმრო „მინერალური წყლები“ (Минеральные воды).

დოქტორი მ. შოსოვილი ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი გოსპიტალისა და ენევის უნივერსიტეტის კლინიკისა.
 თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და 4—7 საათამდე ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ექიმი მ. ვ. შვალაობლივი ქალისა და ს. დოსტაქოვ ავადმყოფობის მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

ელისაბედის ქუჩაზე სახლში № 157 გაიხსნა დიდუბის **პარკი სამკურნალო** ავადმყოფები მიიღება დღის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე. (24—15)

სატრეკტორო დაწესებულებების მეპატრონეთა საერთოერთო დამხმარე საზოგადოების

გამგებობა

ამით აცხადებს ქ. თფილისის ყველა რესტორანების მეპატრონეთა საყურადღებოთ, რომ ორშაბათს, 18 აგვისტოს რესტორან „ამირანის“ შენობაში (ვერის დაღმართი, სახლი მედიკ-აზარიაციას), დღის 10 საათზე დანიშნულია ქალ. თფილისის რესტორანების მეპატრონეთა

არარეპულაბრივი კრება

კრების მიზანია აიჩინოს თვითველ უზნიდან ორ-ორი წარმომადგენელი ცენტრალურ კომისიის წევრებთან 3,360,000 მან. სანიტარული გადასახადის 33% რესტორანზე გასანაწილებლად. კრება შესდგება რამდენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს. მისი დადგენილებანი სავალდებულო იქნება ყველასათვის და საჩივრები გადასახადის უკანონო შეწერის შესახებ არ იქნება მიღებული. გამგეობა.

თფ. პელაგოგოვიური ინსტიტუტი

(ყოფილი საოსტ. ინსტიტუტი), არსებული თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ამით აცხადებს შემდეგს:

- 1) ინსტიტუტი შესდგება ორი საფეხურისაგან. 2) თითოეული საფეხურის კურსი ორწლიანია. 3) პირველი საფეხური ამზადებს უმაღლეს დაწვებითი სასწავლებლის მასწავლებელს. 4) მეორე საფეხური ამზადებს საშუალო სკოლის მასწავლებელს. 5) პირველ საფეხურზე მიიღებიან ყველანი, ვისაც მთავრობის ვეთათ ან ქალთა საშუალო სასწავლებელი აქვს დასრულებული, აგრეთვე საოსტატო სემინარია, ან და ვინც პედაგოგიურ ინსტიტუტთან ან სებულ გამოცდელ კომისიაში ჩააბარებს გამოცდებს (პროგრაამები ინახება ინსტიტუტში). 6) მეორე საფეხურზე მიიღებიან ან ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში კურს დამთავრებულნი, ან თფილისის უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელთაც ინსტიტუტის პირველი საფეხური აქვთ გავლილი.
- თხოვნები მიიღება თფილისში (მეღაგოგ. ინსტიტ., დიდი მთავრის ქ. № 91) დირექტორის ბინა. (7—2)

პატრეცემულ სასოგადოების საყურადღებოთ. „ინტელიგენტ ქალთა ჯგუფი“

იღებს ყოველგვარ საკრავს, რომელსაც თავის დროზე ასრულებს. აგრეთვე ამავე ჯგუფთა სკოლ. აში, რომელიც რამოდენიმე წელიწადი არსებობს, მიიღება მოწვეულ ქალები პრა, კერვის, ქ ბრგვის, ფეხსაცმელის და სხვადასხვა ხელსაქმის სასწავლებლოთ, რომლებთანაც იმეცადინებენ საზოგადოებაში ცნობილი დამსახურებული მასწავლებლები. სკოლა სრულ უფლებიანია. მეცადინეობა დაიწყება პირველ ენენისთვიდან. მისამართი: ვერის დაღმართი, № 3, ბინა მ, ეზოში. (10—4)

ექიმი გ. მ. მუსხაყ

თფილისიდან გაემგზავრა და 1 ენენისთვიდან დღის ავადმყოფები წინიქმე წესს უწყობს

ექიმი მ. ჯ. კეკელიძე

სპეციალურად თფილისი და მისი შედეგები (შეშაბუნება „606“ და „914“) ვენეროული (ტრიპერი) და საზარდე ორგანოების სნეულეზანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დღის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქუჩა № 33.

ექიმი ნ. ლ. ჭარბაძე

მედიცინის დოქტორი მიუნენის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, საბეობო და ქოლურ სნეულ. ორშაბათობით და შაბათობით დღის 10—11 საათ. დანარჩენ დღეებს დღის 12—2 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სემპოვიჩის აფ. თიაქის გვერდით. ტელ.ფონი 14—13.

ექიმი მ. ლ. კეკელიძე

სიფილისის და ვენერიული სნეულეზანი. შეშაბუნება „606“ და „914“ მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პარკს. სასტუმრო „ნოვა“-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებდა მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ნაკლებობით, გულსა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულეზით ავადმყოფთ ყველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ტელ. ტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლო.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა მ. მ. შინაგანი

შინაგანი ავადმყოფობა, ქლექისა და გულსა. იღებს ახალ რენტგენის-ელექტრო წამლოზის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა სსსხივებით, დიდი საღებობი და არსევალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოყოფელ დღე დღის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელ. 7—92.

საექიმო კაბინეტი

ექიმ 4. თ. ჭარბაძე

მიიღებია: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულეზანი ავადმყოფები საზარდე და სასქეს ორგანოთა (806 და 914-ით წამლობა) მიზილოვის საავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს შინაილოვის (№ 55) დაბელგის (№ 1) ქუჩების კუთხე 5—7 ნახ. საათ.

ექიმი ქალი მ. მ. შოსოვილი

მედიცინის დოქტორი ენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკო ქირურგიულ კოლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

ექიმი ლ. მ. ჯაფარიძე

ღებულბს შინაგან, ცურის, ყველის და ცხვირის სნეულობით ავადმყოფებს დღის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა, № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელ.ფონი 16—65.